„მე შენ მიყვარდი, შენ მწამდი, შენ გემსახურებოდი, როგორც შემეძლო"...

ნიკოლაძის გზით

ეროვნულ-საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაზეთი № 11 (254) 28 ნოემბერი ორშაბათი, 2016 წელი; ფასი 1 ლ.

პოლიტიკა

„ნაცები" პარლამენტში საქართველოს სირცხვილი და შეურაცყოფაა

მსოფლიოს ახალი რეალობა აშშ არჩევნებით იმედს გვისახავს ნეოფაშისტების ჩამოცილებით

„ნაცებისთვის" ჩუსები ვეჩ იქნება მტრის ხატი ვითომ პატრიოტიზმით ქვეყნის დაცვისათვის

მე-2-გვ.

ირაკლი ხახუბია პარლამენტის წევრია გვჯერა, ფოთის მაჟორიტარი დეპუტატი ქალაქზე იზრუნებს

სულიერება

23 ნოემბერს, მართლმადიდებლურმა ეკლესიამ წმინდა დიდმოწამე გიორგის ხსენების დღე აღნიშნა

მე-2-გვ.

სახალხო არტისტი და სახალხო კომენტატორი კოტე მახარაძე 90 წლის გახდებოდა

გვაძვს პატივი შევუილოდეთ ღირე-მულისა და ღირსეული პატრიოტი მა-მულიშვილის სულმნმათი კოტე მახა-რაძის იუბილეს. საქართველო მედამ იამაყებს მისი უკვდავი ფენომენითა და ღვაწლით.

მუდამ თქვენი გულშემატკივარი და მხარდამჭერი „ფაზისი-სის" საერო-სამეცნიერო აკადემიის ფოთის საქალაქო ორგანი-ზაციის სახელით დოდო და ვაგნერ მხეიძეები, ზურაბ აბრალა-ვა

რევაზ პაპუაშვილი

„ფაზისის" საერო-სამეცნიერო აკადემიის აკადემიკოსი



კოლხეთის უძველესი ოქრო

მე-3-გვ.

ქართული ფოლკლორის დიდი მოამაგე

ერეოდი ტიკარაძე - კაცი სიმღერა „ხელოვნების ქურუმის" ტიტულის მფლობელი

მე-5-გვ.

პოეზიის საღამო სასამართლო დარბაზში შეხვედრა პოეტ ქალბატონთან ლუიზა ჩხეტიასთან

მე-7-გვ.

მწუხარე ქალაქი ეთხოვება დიდ ქალბატონს, ლეილა კაკულიას

მე-6-გვ.

იუბილე

გიორგი ჭყონდიდელის სახელობის №-7 საჯარო სკოლა - 55 წლისაა

მე-6-გვ.

ბორჯღალოსნებმა კუნძულელი მეტოქე გულადი სამოა ანგარიშით 20:16 დაამარცხა

მე-6-გვ.

პოლიტიკა

„ნაცები" პარლამენტში საქართველოს სირცხვილი და შეურაცყოფაა

მსოფლიოს ახალი რეალობა აშშ არჩევნებით იმედს გვისახავს ნეოფაშისტების ჩამოცილებით

„ნაცებისთვის" ჩუსები ვეჰ იქნება მტრის ხატი ვითომ პატრიოტიზმით ქვეყნის დაცვისათვის

მსოფლიოს გლობალური პროცესები, რომლის ნაწილიც ჩვენი პატარა ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაცაა, ამერიკის შერთებული

შტატების ახალი პრეზიტენტის არჩევით იმედია საკაცობრიო ღირებულებების აღიარების, დაფასების გზით წავა. მსოფლიოში შეწყდება დემოკრატიის საფარქვეშ ქვეყნების აოხრება, ადამიანთა წამება. მსოფლიო ცივილური განვითარების გზას დაადგება, რამეთუ იგი ჩვენი საერთო სახლია, საერთო სატკივარი და საზრუნავია.საქმე არამარტო სოციალურ მდგომარეობას, ეკონომიკას ეხება, არამედ სულიერ, ზნეობრივ, მორალურ მდგომარეობასაც, რაც თავისთავად არის ქვეყნების, ადამიანთა ურთიერთობის საფუძველი, ნამდვილი დემოკრატიის- ხალხის ძალაუფლების ხალხისთვის მოხმარების და არა პირადი მოხმარების საფუძველი. დონალდ ტრამპის მსოფლმხედველობა, ძირითადი მიმართულებები პოლიტიკური პროგრესის მანიშნებელია, ვითომ ლიბერალური დემოკრატიული სამყარო, არასამთავრობოები და ადამიანთა უფლებათა ვითომ დამცველები ძველებურად ვეღარ მიიღებენ გრანტებს თავიანთი საეჭვო საქმიანობისათვის, რაც არასოდეს წარსდგომია ქვეყანას.ახალი პერსპექტივა იკვეთება რუსეთ ამერიკის ურთიერთობაში. გამოჩნდა ორი პრეზიდენტის თანხვედრის წერტილები არაერთი პარამეტრით.

საქართველოც უნდა დალაგდეს პოლიტიკური თვალსაზრისით, უაზრო ვნებათაღელვა ვითომ სამშობლოს სიყვარულისა უნდა ჩაცხრეს. პოლიტიკური სტრიპტიზის სეანსი დამთავრდა, იცის ხალხმა ვინ ვინ არის, სინამდვილეში რა გაუკეთებია, მომავალში რა სურს, რომ მათნაირებს საქართველო და ქართველი ერი ფეხებზე ჰკიდიათ, რამეთუ მათში წვეთი სისხლი არ არის ქართული ღვთის რწმენით გაჯერებული და ამაღლებული.

ამიტომაც იყო სააკაშვილი და მისი ბანდა ვითომ დემოკრატიის ნაყოფი ამერიკელებისთვის, თუმცა, ახალ ამერიკას და მის ლიდერს ის აღარ დასჭირდება,მით უფრო ახლახან გააკეთა განცხადებები, რომ ამერიკას უკრაინაში არაფერი ესაქმება,მაშინ სააკაშვილს რაღა ესაქმება? ცუდი სიგნალია, უკრაინამ დროზე უნდა გადმოსცეს საქართველოს მისი დამაქცევარი სააკაშვილი, ვიდრე იქაურობასაც დააქცევდეს, იგი ხალხის გაჭირვებით მანიპულირების, ტყუილების, მოჩვენებითობის ოსტატია, მაგრამ სააკაშვილისთვის ვეღარ იქნება რუსეთი მტრის ხატი ძველებურად, თუთაშხიას არ იყოს, ვინაც ჩაცვა, იმას მოუნდომა გახადა,მაგრამ მიუხვდა პოროშენკო და ამ მართლაც უმადურ და ყველაფრის მკადრებელ კაცს სათანადოდ გასცეს პასუხი,მაგრამ გულსატკენი ისაა, რომ მას მომხრეები კიდევ შემორჩა,უბრალო ადამიანებს კიდევ ჰო, ეპატიებათ, მაგრამ სააკაშვილის მომხრე თუ მხარდამჭერ პოლიტიკოსს, ექსპერტს და ა.შ. პოლიტიკოსი როგორ უნდა უწოდო-მკვლელი, ქვეყნიის მძარცველი, გამყიდველი, ვითომ პატრიოტი, ვითომ დემოკრატი, კორუფციონერი, მრავალგზის დამნაშავე კაცის გვერდით დგანან და ამართლებენ.

რა ნაციონალურ, ეროვნულ იდეებზეა ლაპარაკი,რომელი ნაციონალები ესენია, მართლაც ნაციის, ერის, ქართველობის, რწმენის და კაცობის მტრები,ისინი ყველა უნდა გასამართლდეს ღალატისათვის (ასეთი ღალატი არ იცის ისტორიამ), ფიზიკური, სულიერი, ზნეობრივი და მორალური თვალსაზრისით, სამწუხაროდ რა ბევრი შემორჩენილა ,,ნაციონალი", სააკაშვილმა ერის უფრო განათლებული ნაწილი უწოდა და სხვა დანარჩენს შეურაცხოფა მიაყენა, ამ დიდმა ,,დემოკრატმა", სხვა თურმე მარტივი კატეგორიებით მოაზროვნეები ვართ,ამათ ბინძურ ფილოსოფიას ვინ შეწვდება. ჩვენი უბედურება ისაა, რომ დამნაშავე ნეოფაშისტები ისევ პარლამენტში მოხვდნენ,ეს ხომ დემოკრატიის დაცინვაა, როგორ გინდა უსმინო დამნაშავე, ბოროტმოქმედ ბოკერიას და სხვათა დარიგებებს თავისუფლებაზე, დემოკრატიაზე, სამშობლოს, ხალხის სიყვარულზე, კაცობაზე, მეგობრობაზე, კორუფციასთან ბრძოლაზე, პარტიის დიად გეგმებზე, (ასე კომპარტია არ აღმერთებდა მის თავს),სანამ იქნება პარტიები ვიგინდარების თავშესაფარი, ერთმანეთს ებრძვიან ვითომ ქვეყნის კეთილდღეობისთვის, იბრძვიან პირადი გამორჩენისთვის,არადა ყველა პარტიის მიზანი ერთი უნდა იყოს-სამსობლოსა და ხალხისთვის ზრუნვა,რამეთუ ქვეყანაც და ხალხის ერთია და ხალხის ძალა და უფლებაც ხალხსვე უნდა ემსახურებოდეს. როცა ხალხს ძალაუფლებას ართმევ, ეს ყველაზე დიდი ოკუპაციაა,ახალი შენიღბული მე-

თოდით, თანაც დიქტატორობით, რომელ თავისუფლებაზე ლაპარაკობს სააკაშვილი, ახლა რომ უკრაინის ,,გადასარჩენად" იბრძვის, ,,რუსთავი 2" არ ისვენებს და იქაც ჩაკითხა-საქართველო არ დაგავიწყდეს , ისიც გადასარჩენიაო,არადა მალე ეს პარტიული ტელევიზია იქნება გადასარჩენი, თუმცა რაღა პარტიული, დანაშაულებრივი, ამათ ცოდვებს რა ჩამორეცხს, ან რა წყალი განბანს ჯოჯოხეთის მოციქულებს. არჩევნები გაყალბდაო, რადგან ვერ გაიმარჯვეს ,,ნაცებმა".თურმე არც დემოკრატია ყოფილა საქართველოში, დემოკრატიას რა ვუთხარი თორემ ისინი იმ ციხეში უნდა იჯდნენ, სადაც ცოცხებით აუპატიურებდნენ უდანაშაულო ადამიანებს. ესენი კიდევ გააგრძელებენ საბოტაჟურ საქმიანობას, მავნებლობას, ყველაფერს გააკეთებენ ქვეყანაში არეულობის მოსაწყობად და ამ ფსონებსაც იპოვნიან, მაგრამ ხალხის მოთმინების ფიალაც აივსო, ,,ოცნებას" უნდა ახსოვდეს, რომ ძველებური სიამტკბილობა ,,ნაცებთან" კოჰაბიტაციად რომ მონათლეს არ გამოვა, თორემ შესაძლოა მართლაც ,,ოცნება" ამათი გადამრჩენის როლში აღმოჩნდეს, იმასაც ხომ ამბობენ მტრის ხატად სჭირდებოდათ,მაგრამ სანამდის? ახლა რეალური შედეგების დროა, მიშა,დათა, ბაჩო,ეგის-მეგისის დრო უნდა წავიდეს. როგორ ითმენდა ქართველობა ამ ,,ცივილურ მხეცებს"?

ხალხი შველას ითხოვს ამათი 10 წლიანი უბედურების გამო, ხალხი ახლაც გარბის ქვეყნიდან. ივანიშვილის არაფორმალური მართველობაც უნდა დამთავრდეს, სახელმწიფო უნდა შეიქნას თავის ინსტიტუტებით. მაგრამ მისი მხარდაჭერა აუცილებელია, ოღონდ ხალხს ეშველოს და გინდ რუსეთის და გინდა ამერიკის მონა ეძახონ.

,,ოცნებას" უნდა ახსოვდეს, რომ პასუხი მოეთხოვება ოპოზიციური პარტიის გამოც, რომელიც პარლამენტშია და რომელსაც არ აგებინეს პასუხი დანაშაულისთვის, რამეთუ ის ეცდება შეაფერხოს პროცესები ,,ოცნებას" პასუხი მოეთხოვება საკუთარი საქმეების გამო. სხვა ხელისშემსლელები მოაცილეს, ახლა გადამწყვეტი ეტაპია საქართველოს ცხოვრებაში. გადარჩენის სხვა შანსი მას არა აქვს. არადა,რაღაც იმედი, თუნდაც გარე ფაქტორების გამოც გაჩნდა. სააკაშვილს და მის ბანდას არააქვს პერსპექტივა,არავის სჭირდება იგი, ვერც რუსეთი გამოადგება მტრის ხატად, სხვა რეალობა ისახება გლობალურ პოლიტიკაში, არც იქაა უაზრო კინკლაობის დრო, რამეთუ მსოფლიოც ერთია თავის სატკივარითა და საწუხარით, ქვეყანას ახალი იდეები, ახალი საქმეები თუ გამოაცოცხლებს.

საქმიანი რეფორმა, ხალხის დასაქმება, ოჯახის შენარჩუნება, ყველაფერი კონკრეტული ადამიანის ცხოვრებაზე უნდა აისახოს, თორემ ქართველებმა თუ ქვეყანა დატოვა,სხვა მიზანი არც ნაცებს ქონიათ. ვის რაში სჭირდება ამდენი ლაქ-ლაქი, სანამ იქნება პოლიტიკა ცალკე - ხალხი ცალკე, ხელისუფლება ცალკე. ვის სჭირდება 200 პარტია, ქვეყანა ხომ ერთია, ყველა ჭკვიანს ერთად მოვუყაროთ თავი, ღმერთო ქართველებს შეაყვარეთ ერთმანეთი - იტყოდა დიდი ვაჟა.

ამომრჩევლის მესიჯი გასაგებია, პარტიული დაპირისპირების პოლიგონი არ უნდა იყოს ქვეყანა, რომელიც ამათ არ ახსოვთ, ამიტომაც ერთ პროცენტსაც ვერ მიაღწიეს არჩევნებში.პარტიები მიატოვეს ლიდერებმა, იქმნება პოლიტიკური გაერთიანებები, ცენტრები, არადა ქვეყანა ლამის ხელში ჩაგვაკვდეს და პატრონი სჭირდება, მზრუნველი, პატრიოტი, ქართული გულით,სულით და არა ევროპულ უბედურებას გამოკიდებული ვითომ დემოკრატიის ხათრით. ევროპისგან კარგი ვისწავლოთ და ქვეყანა ევროპულად,სულიერად, კულტურულად ავაყვაოთ.

იწყება ახალი ერა ქვეყნის სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში, უნდა აღმოიფხვრას სიღარიბე უზნეობა, ქაოსი, უნდა აღვიდგინოთ ღირსება, თავმოყვარეობა. როგორც ხედავთ მსოფლიოშიც სხვა ახალი პროგრესული რეალობა იქმნება და ნეოფაშიზმი და მისთანანი წყალს გაყვებიან და ჩვენი ,,ნაცებიც" მათ მიყვებიან,ნუთუ ამას ვერ ხვდებიან ჩვენი პოლიტიკური ,,კორიფეები"?

,,გაიღვიძე მიშა ბიძია დეპოში ვართ, დეპოში!.."

ზ. აბრალავა

23 ნოემბერს, მართლმადიდებლურმა ეკლესიამ წმინდა დიდმოწამე გიორგის ხსენების დღეს აღნიშნა

ყოველი ერი განსაკუთრებულ პატივს მიაგებს რომელიმე წმიდანს, ყოველ ერს ჰყავს თავისი განსაკუთრებული ზეციური მფარველი, რომელიც ლოცულობს ერისთვის და იფარავს განსაცდელთაგან.

წმიდა გიორგი არის საქართველოს განსაკუთრებული მფარველი. ისტორიიდან ცნობილია, რომ წმიდა გიორგი ხილულადაც იბრძოდა ქართველთა ლაშქარში.

საქართველოს ბევრ ევროპულ ქვეყანაში წმიდა გიორგის სახელის მიხედვით „გეორგიას" ეძახიან, ჩვენთან ეკლესიების უმეტესი ნაწილი წმიდა გიორგის სახელზეა აგებული. „არა არიან ბორცვნი და მაღალნი გორაკნი, რომელსა ზედა არა იყოს შენნი ეკლესიანი წმიდისა გიორგისანი", - წერს ვახუშტი ბატონიშვილი.

საქართველოს მეფეების, ბაგრატიონების გერბზე წმიდა გიორგი გამოსახულია, როგორც გველეშაპის შემმუსვრელი. წინათ დიდმოწამის ხატი ქართული ჯაშქრის დროშებზე აბრეშუმით იყო ამოქარგული. ბრძოლის დროს რუსთავის ეპისკოპოსს დროშა ეჭირა, მღვდლებს კი - ხატები. არცთუ იშვიათად წმიდა გიორგის გამოსახულება მეომართა ფარებზე იყო ამოტვიფრული.

საქართველოში წელიწადის ყოველ დღეს იზეიმებოდა გიორგობა, რომელიც წმიდანის სახელობის რომელიმე ტაძართან, ან მის მიერ აღსრულებულ სასწაულებთან იყო დაკავშირებული. ხალხურ მეტყველებაში შემორჩენილია 365 წმიდა გიორგის სახელით დალოცვა, რომელიც წმიდა გიორგის წელიწადის ყოველდღიურ დღესასწაულთან და საქართველოში არსებული წმიდა გიორგის 365 ნაწილთან არის დაკავშირებული.

10(23) ნოემბერს აღინიშნება წმიდანის ბორბალზე წამების დღე, რომელიც, გადმოცემით, წმიდა ნინოს დაუდგენია დღესასწაულად. ცნობილია, რომ წმიდა ნინო ნათესავი იყო წმიდა გიორგისა, განსაკუთრებულ პატივს მიაგებდა მას და თავის მოქცეულ ქვეყანასაც უანდერძა დიდმოწამის სიყვარული.

„მეფე უგუნური (დიოკლეტიანე) ესწრაფოდა სიკვდილსა შენსა", - ვკითხულობთ წმიდა გიორგის დაუჯდომელ ლოცვაში, - „ჭირთა დამთმენელო გიორგი, და ვითარცა მგელსა მშიერსა, სწყურდა სისხლი შენი, ამისთვსცა ბრძანა ურმის თვალსა ზედა წამებაი და საშინელთა სატანჯველთა მიცემაი შენი, ხოლო შენ, უფლისა მიერ ყოველივეს დამთმენელი, სასოებით მტკიცედ ხმობდი ღმერთსა, ალილუია".

წმიდა გიორგი ითვლება მხედართა, მიწისმოქმედთა, მწყემსთა, მოგზაურთა მფარველად. მას ევედრებიან აგრეთვე დემონური ძალებისაგან დახსნისათვის.

ღმრთის განგებით ქართველი ერი უშუალო მფარველობისათვის ჩაბარდა წმიდა გიორგის, ამიტომაც წმიდა გიორგის დაუჯდომლის იკოსს დაემატა მუხლი: „გიხაროდენ უძლეველო წინამბრძოლო ქართველთა ერისა და მფარველო ჩვენი ეკლესიისაო".

„წმიდა გიორგი არის სიმბოლო გამარჯვებისა, საქართველოს ძლევამოსილი გამარჯვებისა. აი, ჩვენს წინაშე არის ორი პიროვნება - წმიდა გიორგი და იმპერატორი დიოკლეტიანე, სიმბოლო სიკეთისა და ბოროტებისა. ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ბრძოლა სიკეთესა და ბოროტებას შორის ყოველთვის იყო და იქნება, ვიდრე დედამიწა იარსებებს. ამიტომ ერთადერთი ძალა, რომელიც ადამიანს, ერს, ქვეყანას ამ ბრძოლის დროს შეეწევა, ღვთის ძალა და მადლია. თქვენ გახსოვთ, წმიდა გიორგი სისხლით რომ იცლებოდა, მოესმა ხმა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი: „ნუ გეშინინ, გიორგი, მე შენთანა ვარ". დღეს ჩვენც გვესმის, სრულიად საქართველოს ესმის ეს ხმა უფლისა: „საქართველო, ნუ გეშინინ, მე შენთანა ვარ!" ჩვენთან არს ღმერთი და ვერავითარი მტერი ვერ სძლევს საქართველოს, რადგან ჩვენი მფარველი არის ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი დედა - განგებითა ღვთისათა პატრონი საქართველოსი, დიდი დიასახლისი ჩვენი ქვეყნისა. ჩვენი მფარველნი არიან წმიდა ნინო, წმიდა გიორგი, წმიდა ნიკოლოზი და მრავალი ის წმიდანი, მოწამე, ღირსი მამა, მღვდელმთავარი, რომელიც ადიდებდა ღმერთს და თავისი ცხოვრებით მოიხვეჭა მადლი უფლისა. და აი, ამ წმიდათა მოწამეთა და ღირსთა მამათა, მღვდელმთავართა და ყოველთა წმიდათა ლოცვით, ვერავითარი მტერი ვერ სძლევს საქართველოს."

უწმიდესი და უნეტარესი,
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II

იუბილე

გიორგი ჭყონდიდელის სახელობის №7 საჯარო სკოლა-55 წლისაა

ვ. გუნიას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში ქალაქის საზოგადოება მე-7 საჯარო სკოლის იუბილეზე შეიკრიბა, ეს იყო კიდევ ერთი ლამაზი ღონისძიება, რომელიც სკოლის შემოქმედებითი ძალებით ჩატარდა და დიდხანს დაამახსოვრდება დამსწრეთ.

შეხვედრა გახსნა სკოლის დირექტორმა ქალბატონმა ნინო მორგოშიამ, წარმოდგენილი იქნა ლიტერატურულ- მუსიკალური კომპოზიცია. გაცოცხლდნენ წარსულის ფოლიანტები დიდი პედაგოგები, ღირსეული მოსწავლეები. იყო ლამაზი მოგონებები, სცენაზე უხმეს უხუცეს პედაგოგს ქალბატონ კლარა წურწუმიას თავისი საყვარელი მოსწავლეებით. იყო ბავშვობის გახსენება, ცრემლი და სიხარული. სკოლის პირველმა პიონერხელმძღვანელმა ქალბატონმა ზეინაბ ცანავამ მოგონებებისა და ლექსების კასკადი დააყენა, ამ მართლაც უნიჭიერესმა პედაგოგმა, დირექტორმა. სადამოზე მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ- ნინოშვილის უბნის წარმომადგენელი გია ქარდავა, განათლების რესუსცენტრის დირექტორი ბატონი გოჩა ძეს.

ქორქია, 1 საჯარო სკოლის დირექტორი ქალბატონი ნინო ჟვანია.

მეშვიდე სკოლელებს იუბილე მიულოცა ქალაქის მერმა ბატონმა ირაკლი კაკულიამ, სამახსოვროდ სკოლას გადასცა მოოქროვილი მოვერცხლილი ღვთისმშობლის ხატი. დიდებულად იმღერეს სკოლის კურსდამთავრებულებმა ირმა წულაიამ, რუსუდან ტუღუშმა და გოდერძი სარჯველაძემ, ოჯახური ტრიო წარმოადგინა გია გურგენაძემ ხალხურ საკრავზე შესრულებით საოცარი სიმღერით.

შემდეგ იყო ვიდეო ჩართვები სკოლის აღზრდილები, გამორჩეული პიროვნებები, პედაგოგები, დიდი პატივი მიაგეს დიდ პედაგოგსა და მოამაგეს ქალბატონ ოლია ტიკარაძეს.

დიდი მეფის აღმზრდელის გიორგი ჭყონდიდელის სახელი სკოლას მუდამ შეახსენებს თავის დიდ პასუხისმგებლობას მამულის წინაშე, რომ მას საქართველოს მომავალი აბარია.

რევაზ პაპუაშვილი
„ფაზისის" საერო-სამეცნიერო აკადემიის აკადემიკოსი

კოლხეთის უძველესი ოქრო



ღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე უადრესი ოქროს ნივთები აღმოჩენილია მარტყოფის, საჩხერის, ალაზნის ველის, ბედენისა და თრიალეთის ყორღანულ სამარხებში. ამ ძეგლებისა, და შესაბამისად აქ მოპოვებული ოქროს სამკაულის თარიღები ადრებრინჯაოს დასასრულითა და შუაბრინჯაოს ხანით – ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრით და ძვ. წ. II ათასწლეულის პირველი ნახევრით განისაზღვრება.

საქვეყნოდაა ცნობილი, და საქართველოს საგანძურის ნაწილს შეადგენს არქეოლოგიური გათხრებით თუ შემთხვევით აღმოჩენილი ოქროსაგან დამზადებული ხელოვნების ნიმუშები: ვანიდან, საირხიდან, ახალგორიდან, ქობულეთიდან და საქართველოს სხვა კუთხეებიდან.



მათი თარიღები ადრეანტიკური ხანით – ძვ. წ. V საუკუნით და შემდგომი დროითაა განსაზღვრული.

თრიალეთის ყორღანული სამარხების ეპოქიდან ვანის მდიდრული სამარხების ეპოქამდე ათასი წელია გასული. დროის ამ ათსაუკუნოვან მონაკვეთში (ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებიდან, ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებამდე), არც აღმოსავლეთ და არც დასავლეთ საქართველოში ოქროს წარმოების დამადასტურებელი ფაქტები (თუ მხედველობაში არ მივიღებთ XIX ს. მეორე ნახევარსა და XX ს. დასაწყისში შემთხვევით აღმოჩენილ ოქროს სამკაულს, რომელიც ფარცხანაყანევის (ტაბ. I), ჭუბურხინჯის და ნოსირის (ტაბ. II) განძებითაა ცნობილი, და რომელთა თარიღები ზოგადად წინარეანტიკური ხანით, კონკრეტულად კი ძვ. წ. VIII-VII სს-თაა განსაზღვრული), უკანასკნელ წლებამდე არ შეინიშნებოდა.

დიდი ბერძენი გეოგრაფიოსი სტრაბონი, ოცი საუკუნის წინ, კოლხეთის შესახებ გვაუწყებდა – „თუ რაოდენ სახელგანთქმული იყო ძველად ეს ქვეყანა, ამას მოწმობს მითები იასონის ლაშქრობაზე, ხოლო მასზე ადრე ფრიქსეს (ლაშქრობაზე) .... ამ ქვეყნის სიმდიდრე ოქროთი, ვერცხლითა და რკინით იყო ნამდვილი მიზეზი ამ ლაშქრობისა".



სტრაბონის მიერ ხსენებული ფრიქსესა და იასონის ლაშქრობები ოქროთი მდიდარ ქვეყანაში, მკვლევართა ვარაუდით, ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულს ან ძვ. წ. I ათასწლეულის საწყის საუკუნეებში უნდა მომხდარიყო, ე. ი. იმ ეპოქაში, რომელშიაც ოქროს წარმოების მიმანიშნებელი ფაქტები არ მოგვეპოვებოდა, თუმც ივარაუდებოდა. ვარაუდის საფუძველს სტრაბონის აღნიშნული ცნობა და კოლხეთში ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანების მრავალრიცხოვანი და თანაც მაღალმხატვრული ოქრომჭედლობის ნიმუშების აღმოჩენის ფაქტები იძლეოდა. ღვივდებოდა ინტერესი ოქრომჭედლობის იმ კერის მოძიებისა, რომლის საფუძველზედაც უნდა აღმოცენებულიყო და შექმნილიყო, მხატვრულ-ტექნოლოგიური თვალსაზრისით, ისეთი სრულყოფილი არტეფაქტები, როგორებსაც ვანისა და საირხის მდიდრულ სამარხებში ვხვდებით.

როდესაც გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან კოლხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ პროფესორ თეიმურაზ მიქელაძის ხელმძღვანელობით დაიწყო მიზანმიმართული მუშაობა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის, ანუ ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულისა და ძვ. წ. I ათასწლეულის I ნახევრის სამაროვნების მოძიებისა და შესწავლის მიზნით, თავისებურ, მხოლოდ კოლხეთისათვის დამახასიათებელ დიდ კოლექტიურ სამარხ-ორმოებში მიცვალებულთათვის ჩატანებულ სხვადასხვა კატეგორიის მრავალრიცხოვან ნივთებთან ერთად აღმოჩნდა ოქროსაგან დამზადებული სამკაულიც. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კოლხურ კოლექტიურ სამარხებში ხშირად რამდენიმე ასეული მიცვალებულის ნეშტია დამოწმებული. ქვის, თიხის, ბრინჯაოს, რკინის, ვერცხლისა და მრავალგვარი მინერალისაგან დამზადებული მძივსამკაულის რაოდენობა ხშირად ათას ერთეულს აჭარბებს.



კოლხურ სამარხებში ოქროს აღმოჩენის მნიშვნელობა განსაკუთრებულია შემდეგი გარემოებების გამო: 1) აქ აღმოჩენილი ამ ძვირფასი ლითონის ნაწარმი მეცნიერულადაა დოკუმენტირებული თანმხლები არქეოლოგიური მასალის გარემოცვაში, განსაზღვრულია, თუ როგორ მოხვდნენ ისინი აღმოჩენის ადგილზე, 2) ამ ნივთების დამზადებისა და განმარხების დრო ქრონოლოგიურად ემთხვევა ასირიულ, ურარტულ და ძველბერძნულ წერილობით წყაროებში კოლხეთის პირველ მოხსენიებას. დროსა და სივრცეში შეესაბამება არგონავტიკის პირველ ვერსიებს და ახლოს დგას იმ რეალიებთან, რაც მითის ამ ვერსიებშია ასახული და 3) აღნიშნული სამკაული სულ მცირე სამი საუკუნით მაინც უფროძველია, ვიდრე დღემდე საქვეყნოდ ცნობილი ვანისა და საირხის უბრწყინვალესი ნიმუშები.



კოლხური ოქროს ხსენებული ნაწარმი, რომელზედაც ამჟამად ვამახვილებთ ყურადღებას, სხვადასხვა პერიოდული ლიტერატურიდან სპეციალისტთა მხოლოდ ვიწრო წრისათვისაა ცნობილი, ისიც გრაფიკული ჩანახატებითა და შავ-თეთრი -

გაგრძელება მე-4 გვ

დასაწყისი მე-3 გვ

კოლხეთის უძველესი ოქრო

ფოტოანაბეჭდებით. ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს უძველესი კოლხური ოქროს ერთად წარმოდგენა და გაცნობა, შესაბამისი კონტექსტითა და ილუსტრაციით.

ზუგდიდის რაიონის სოფლებში: ერგეტასა და ცაიშში, ხობის რაიონის სოფელ დღვაბაში და ოზურგეთის რაიონის სოფელ ურეკში სხვადასხვა დროს 14 სხვადასხვა სამარხში აღმოჩენილი ოქროს ნივთები ჯერ-ჯერობით უძველესია კოლხეთის ტერიტორიაზე. მათი თარიღები, ზოგადად, ძვ.წ. I ათასწლეულის I ნახევრითაა განსაზღვრული და თანმხლები სამარხეული ინვენტარის საფუძველზე ოთხ ქრონოლოგიურ ურთიერთმონაცვლე ჯგუფში ნაწილდება.



უადრესი ნიმუშები, ჩვენს მიერ შემუშავებულ კოლხურ სამარხ-ორმოთა აბსოლუტური ქრონოლოგიის სკალაზე განთავსებულ II ჯგუფის, ანუ ძვ. წ. VIII ს. პირველი ნახევრით (ან უფრო ზოგადად, ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი მეოთხედით) დათარიღებულ სამარხეულ კომპლექსებში გვხვდება, ესენია: თხელი ფურცლისაგან (ე. წ. ფოლგა) დამზადებული მძივების გარსაკრავის ფრაგმენტები ერგეტის I სამაროვნის №2 სამარხიდან (ტაბ. III); დიდი ზომის ფუყე მძივი ერგეტის III სამაროვნის №2 სამარხიდან; მრგვალგანივკვთიან ღეროზე მირჩილული ათი ბურთულისაგან შედგენილი საყურე ერგეტის IV სამაროვნის №2 სამარხიდან (ტაბ. IV); ბრტყელი ფურცლისაგან დამზადებული ერთნახევარი ხვია, რომლის ბოლოებიც დამრგვალებულია და სპირალურად დახვეული დღვაბის №1 სამარხიდან (ტაბ. V); ანალოგიური ხვია, სატევრებისა და ორმაგი ცულების ფორმის საკიდები, გაურკვეველი ნივთის შესამკობათ განკუთვნილი ფირფიტები აგრეთვე ნაირგვარი ფორმისა და ზომის მძივები ცაიშის №2 სამარხიდან (ტაბ. VI).



უფრო მოგვიანო, ძვ. წ. VIII ს. მეორე და ძვ. წ. VII ს. პირველი ნახევრით დათარიღებულ III ჯგუფის (განსაკუთრებით მდიდრულ) სამარხეულ კომპლექსებში გვხვდება: წნულის იმიტაციის მქონე ღეროების ბოლოზე ცვარას ტექნიკით შესრულებული დრაკონების გამოსახულებიანი ორი რგოლი ურეკის №3 სამარხიდან (ტაბ. VII); ფურცლოვანი გარსაკრავით დაბოლოებული წნულღეროიანი წყვილი რგოლი, ბურთულებით და კოპებით შემკული ფურცლოვანი ცილინდრებისაგან შედგენილი მძივები ერგეტის I სამაროვნის №5 სამარხიდან (ტაბ. VIII); სადა რგოლი ერგეტის II სამაროვნის № 4 სამარხიდან (ტაბ. IX); რომბისებური ფორმის საკიდი სვასტიკის ჭვირული გამოსახულებით სამკუთხა საკიდები სიბრტყეზე სხვადასხვა გეომეტრიული გამოსახულებებით ცვარათი შედგენილი და ფურცლოვანი ოქროთი დამზადებული ოპალის თვლებით შემკული წყვილ-წყვილი საკიდები, სატევრის ვადა, ქარქაშის გარსაკრავი (?), აგრეთვე სხვადასხვაგვარი მძივები და გაურკვეველი დანიშნულების ფრაგმენტები ცაიშის სამაროვნის №1 სამარხიდან (ტაბ. X-XIII). ამავე ჯგუფში უნდა გაერთიანდეს დრაკონის შესანიშნავი გამსახულება მუხურჩის ქვედა დასაკრძალავი მოედნიდან (ტაბ. IX).



ძვ. წ. VII ს-ით განსაზღვრულ IV ქრონოლოგიური ჯგუფის სამარხეულ კომპლექსებში მოპოვებულია: ბურთულით დაბოლოებული წნულღეროიანი რგოლის ნახევარი ერგეტის I სამაროვნის №4 სამარხიდან; ბურთულებით დაბოლოებული წყვილი წნულღეროიანი რგოლი ერგეტის I სამაროვნის №6 სამარხიდან; წყვილი სადა რგოლი და ასევე წყვილი, ვერცხლზე გადაკრული ოქროს

რგოლები, რომელთა ბოლოები ცვარათი შესრულებული დრაკონის გამოსახულებებით ბოლოვდება ერგეტის III სამაროვნის №4 სამარხიდან; სადა რგოლი ერგეტის IV სამაროვნის №1 სამარხიდან (ტაბ. XIV).

მომდევნო, V ჯგუფის, ძვ. წ. VII ს. დასასრულითა და ძვ. წ. VI ს. დათარიღებული კომპლექსებიდან ოქროს ნაწარმი მხოლოდ ერგეტის III სამაროვნის №1 სამარხშია წარმოდგენილი, ესაა მტევნისებრი ფორმის ვერცხლის საკიდზე შემორჩენილი ოქროს გარსაკრავის მცირე

ფრაგმენტი.

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ხშირად ვერცხლის, ტყვიისა და კალის სადა რგოლები ოქროს გარსაკრავებითაა დაფარული. ამგვარი რგოლები თითქმის ყველა ზემოდ ჩამოთვლილ სამარხშია ფიქსირებული და მათი რაოდენობა არც თუ იშვიათად ათეულს აჭარბებს (ტაბ. IX).

კოლხური სამარხები, საიდანაც მსგავსი და განსხვავებული ნიმუშების აღმოჩენაა სავარაუდო, შესწავლის საწყის სტადიაშია. მიკვლეულია და არქეოლოგიური გათხრების გაგრძელებაა საჭირო ისეთ ძეგლებზე, როგორიცაა: ცაიშის სამაროვანი, ზუგდიდის რაიონში; სალხინოს და კურზუს სამაროვნები მარტვილის რაიონში; ნამარნუსა და ობერგულეს ნამოსახლარები აბაშის რაიონში, ყულევის ცივის ნაპირზე მდებარე ნამოსახლარი და სხვა.

იუბილე

მილოცვა ჟერონ შუბითიძეს

„და იმ მედნიერ დღეს გაუმარჯოს"...



წლები ჩემი სიმდიდრეაო, თამამად შეუძლია თქვას ბატონმა ჟერონ შუბითიძემ,- უკეთილშობილესმა პიროვნებამ, ყველაზე დიდი სიმდიდრის პატრონმა, რასაც კაცობა და ადამიანებთან ურთიერთობა ჰქვია.დიდი და ბარაქიანია ამ მართლაც საოცარი , დაუგლელი კაცის განვლილი გზა,რომლის უკან მოხედვის არ ეშინია, რამეთუ მთელი ცხოვრება სიყვარულით და სიკეთით ნაფერი,თუმცა არც ეს გზა ყოფილა ია- ვარდით მოფენილი,- იყო ტკივილი,შრომა, წვალება და უფრო მეტი წარმატებები და სიხარული.ქალბატონ მზია უგულავასთან ერთად დიდებული ოჯახი შექმნა და ქვეყნის წინაშე ვალი ოთხი უმშვენიერესი ქალიშვილებითაც მოიხადა.რომელთა შვილებსაც თავს დასტრიალებს, სამშობლოს სიყვარულს, სიკეთის ქმნას,ტრადიციების პატივისცემას ასწავლის. მისი ლამაზი ცხოვრებაც ერთი დიდი გაკვეთილია კაცობის ,ერთგულების, ძმობის და სიალალის. მთელ ქალაქს ეამაყება მისი დიდი გულშემატკივარი მეცნიერი კაცი, ,,ფაზისის,, აკადემიის ნამდვილი წევრი, რომლის ბიოგრაფიაც თანხვედრია ქვეყნის ბოლო ათწლეულებისა. ჟერონ შუბითიძე უამრავი სამეცნიერო ნაშრომის ავტორია სოფლის მეურნეობის დარგში. მიღებული აქვს სხვადასხვა ჯილდოები, პრეზიდენტის სიგელები, ამჟამად ფოთის საზღვაო ნავსადგურის ტექნიკური მომსახურების ჯგუფის ხელმძღვანელია და კვლავაც წარმატებით აგრძელებს საქმიანობას.

ჟერონ შუბითიძე თავის მოქალაქეობრივ პოზიციით ქალაქის საზოგადოებრივ პოლიტიკური ცხოვრების ეპიცენტრშია. ყველა საქალაქო გონისძიების მონაწილეა. მას როგორც ნაღდ ფოთელს არ ასვენებს ქალაქის მომავალზე ფიქრი და ყველაფერა აკეთებს მისი წინსვლისათვის. ასეთი დიდებული ადამიანები სჭირდება ჩვენს ქალაქსა და ქვეყანას. ყველას ტანამდგომი ჭირსა და ლხინში. ჯანმრთელობა, წლების სიმრავლე ნუ მოგიშალოს დმერთმა ჩვენო ძმაო და მეგობარო. დაე მუდამ გეთქვას,,ვლოცავ დღეს ჩემის გაჩენის ბედნიერი ვარ მე,,

მ ე გ ო ბ რ ე ბ ი

ქართული ფოლკლორის დიდი მოამაგე

ეროდი ტიკარაძე - კაცი სიმღერა „ხელოვნების ძურძმის" ციცქილის მფლობელი

„ქართველები ის ხალხია, რომლებიც ღმერთს სიმღერითა და გაბღობით ესაუბრებიანო." ჩვენს ქალაქში ახალგაზრდული სიმკვირცხლით, ჩვეული გურული ენაკვიმატობით დააბიჯებს სითბოსა და სიკეთის მთესველი კაცი, რომელიც თავისი ყოველდღიური დაუღალავი შრომით ღმერთთან საუბარს ასწავლის თაობებს, სიყვარულს უნერგავს და მრავალსაუკუნოვანი ქართული ფოლკლორის უნიკალური ნიმუშებით ასაზრდოებს.

ჭარმაგი ხელოვანი, რომელიც ხუთ ათეულ წელზე მეტია გულის სისხლს მსხვერპლად სწირავს ხელოვნებას, საყვარელ საქმეს, ეფერება და ელოლიავება ქართულ ხალხურ სიმღერებს, თაობებს გადასცემს მათ სიდიადეს და უხმაუროდ იმკვიდრებს უკვდავებას.

ადამიანის ცხოვრება მხოლოდ წელთა სიმრავლით როდი იზომება, არამედ ქვეყნისა და ერისათვის ქმნილი სიკეთით. ამ გადასახედიდან ბატონი ეროდის ასაკის დადგენა მეტად რთულია.

ეროდი ტიკარაძე დაიბადა 1941 წლის 15 დეკემბერს ლანჩხუთის რაიონის სოფ. ღრმაღელეში, მრავალშვილიან ოჯახში. მშობლებისაგან მემკვიდრეობით მიიღო ქართული მუსიკალური ფოლკლორის სიყვარული და ამ სიყვარულითაა გამსჭვალული მთელი მისი შემოქმედებითი ცხოვრება. ტიკარაძეების ოჯახში ყველა მღეროდა: ბაბუა, მამა, დედა, დები და ძმები. მღეროდა პატარა ეროდიც, 6 წლისა ფანდურზე აწყობდა მელოდიებს.

1964-1968 წლებში სწავლობდა თბილისის მხატვრული თვითმოქმედების კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებელში. აქედან დაიწყო მისი მუსიკალური ბიოგრაფია.

ბ-ნმა ეროდიმ რაც პროფესიად სიმღერა აირჩია, მას შემდეგ ათწლეულების მანძილზე მოაქვს ის არაჩვეულებრივი ერთგულებით, უყვარს ის ისე როგორც არაფერი ამქვეყნად და რაც მთავარია ცდილობს ყველას შეაყვაროს. როგორც ლოტბარი იგი განსაკუთრებულ მეთოდებს ფლობს. აქვს სიმღერის გაგების, დამუშავებისა და გადმოცემის თავისებური უნარი. არის სუიტების კეთების დიდოსტატი.

ფოთი უმდიდრესი კულტურული ტრადიციების მქონე ქალაქია. აქ მოღვაწეობდნენ ქართული ხალხური შემოქმედების გამოჩენილი პიროვნებები: ძუკუ ლოლუა, აქვსენტი მეგრელაძე, ილიკო სუხიშვილი, რემა შელეგია, მიხეილ ხავთასი, არჩილ ხორავა, შოთა ჩახავა და სხვები. მათ საქმეს ღირსეულად აგრძელებს ეროდი ტიკარაძე, რომელიც 27 წლის განმავლობაში სათავეში ედგა საქალაქო კულტურის სახლს (შემდგომში ფოლკლორის ცენტრი). აქ ამ ქალაქში 1973 წელს დაიწყო ბ-ნი ეროდის შემოქმედებითი საქმიანობაც.

1973 წელს ქ.ფოთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი (დირექტორი ტოგო მირცხულავა) მიემგზავრებოდა ქალაქ მოსკოვში სოფლის მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე, კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად. იმისათვის რომ ანსამბლის გამოსვლა მრავალფეროვანი გამხდარიყო, ბ-ნი ეროდი მიიწვიეს რათა შეესრულებინა ორ სალამურზე მუსიკალური ნომრები.

1973წ- ფოთის კულტურის განყოფილების გამგემ დავით ფირცხალავამ ეროდი ტიკარაძე მიიწვია სამუსიკო ტექნიკუმში, სადაც ხალხურ საკრავთა განყოფილება ჩააბარეს (დირექტორი თემურ ჩუბინიძე). აქ მან მალევე ჩამოაყალიბა ხალხურ საკრავთა ორკესტრი.

მოკლე ხანში ამავე სასწავლებლის სცენაზე ხალხურ-საკრავთა ორკესტრის მიერ შესრულებულ საორკესტრო ნომრებს აღფრთოვანებულმა მაყურებელმა „ცოცხალი რელიკვია" უწოდა.

1974 წლიდან ბ-ნი ეროდი პარალელურად მუშაობს I საშუალო სკოლის მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივების ხელმძღვანელად. მის მიერ ოლიმპიადებზე გამოყვანილი გუნდები არანაკლებ 100 ბავშვიანი იყო. ისინი ასრულებდნენ ცნობილ კომპოზიტორთა კლასიკურ ნაწარმოებებს და ფოლკლორულ სუიტებს. მისი სიყვარული თავისი პროფესიისადმი, ინტერესი და საკუთარი თავის გამოცდა იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ საკუთარი ენთუზიაზმით და მაშინდელი სკოლის დირექტორის ბატონი გიული ჟვანიას თანადგომით, რომელმაც შეუძინა ხალხური საკრავები, შექმნა ხალხურ-საკრავთა ორკესტრი. მათი გამოსვლები დაუვიწყარი იყო ფოთელი მაყურებლისთვის. ისინი ორჯერ გახდნენ თბილისში გამართული საბავშვო ოლიმპიადის ლაურეატები და I ხარისხის მედლების მფლობელები.

ბატონი ეროდის მუშაობა იმითაც არის საინტერესო, რომ ის 1974 წლიდან წლების განმავლობაში მოღვაწეობდა ვ. გუნიას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში. მას მუსიკალურად გაფორმებული აქვს შემდეგი სპექტაკლები: -- „კალმასობა", „წიწამურის ტრაგედია", „ქოსატყუილები", „განკიცხულნი" და სხვა . სპექტაკლ „მედეა"- ში, სადაც მთავარ როლებს ქ-ნი ზინაიდა კვერენჩხილაძე და ბ-ნი გია ბურჯანაძე ასრულებდნენ, მოამზადა ბავშთა ქორო, რომელსაც განსაკუთრებული მოწონება ხვდა წილად.

1974 წელს ბ-ნი ეროდი ბ-ნ ტოგო მირცულავამ მიიწვია ახალი ანსამბლის შესაქმნელად. რომელთაც კულტურის სახლების დათვალიერებაზე თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე გასვლის წინ კულისებში ბ-ნმა ეროდიმ „ფაზისი" უწოდა.

გარდა ბუნებით მომადლებული ნიჭისა საჭირო იყო რკინისებური ნებისყოფა იმ სიძნელეების გადასალახავად, რაც თან ახლდა ისეთი კოლექტივის შექმნას და შენარჩუნებას, რომელიც მრავალი წლის მანძილზე ქალაქ ფოთის სავიზიტო ბარათი იყო, არის და იქნება.

არც თუ ისე იოლი გახლდათ ისეთი დიდი ტრადიციების მქონე ქალაქში, როგორიც ფოთია, შეკრულიყო ისეთი ანსამბლი, რომელიც გამორჩეული და სამაგალითო იქნებოდა და თავის ადგილს დაიმკვიდრებდა ქალაქის კულტურულ ისტორიაში. ამისათვის ბ-ნმა ეროდიმ მთელი თავისი ცოდნა და გამოცდილება, სული და გული ჩააქსოვა ამ ანსამბლში, მისი წილი სითბო უშურველად უწილადა თითოეულ წევრს.

ის 1979 წელს ინიშნება საქალაქო კულტურის სახლის დირექტორად (შემდგომში ფოლკლორის ცენტრი) და ხელმძღვანელობს მას 2007 წლამდე.იგი ოცდაშვიდი წელი ხელმძღვანელობდა კულტურის სახლს. შრომობდა, იღწვოდა და მიუხედავად მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არადამაკმაყოფილებელი პირობებისა, ქვეყნის მასშტაბით იყო ერთ-ერთი გამორჩეული დაწესებულების თავკაცი, რადგან აქ არსებული ანსამბლები, თოჯინების თეატრი, კინო-სტუდია, აგიტ-მხატვრული ბრიგადა, ხშირად იყო მოწინავეთა რიგებში. ამისათვის კულტურის სახლი კულტურის დაწესებულებებს შორის სოც-შეჯიბრის მრავალგზის გამარჯვებულიც გახლდათ.

1984 წლიდან ანსამბლი „ფაზისი" სრულყოფილ სახეს ღებულობს და ასევე ბ-ნი ეროდის (მისივე დირექტორობის დროს) ინიციატივით ემატება ქორეოგრაფიული ჯგუფი-ქორეოგრაფ ახმედ ამბალიას ხელმძღვანელობით, ანსამბლის წევრებისაგან შექმნილი ვოკალური კვინტეტი გიორგი ჯანელიძის ხელმძღვანელობით, რომელსაც ამშვენებდა ქ-ნი ნანი გუგუშვილი (ისინი კლასიკურ და ქალაქურ სიმღერებს ასრულებდნენ); ასევე ქალთა ტრიო ბ-ნი ეროდი ტიკარაძის ხელმძღვანელობით.

ანსამბლ „ფაზისს" არსებობის 40 წლიანი ისტორია აქვს. ამ ხნის მანძილზე ვინ მოთვლის რამდენი კონცერტი,რესპუბლიკური თუ საერთაშორისო ფესტივალი აქვს დაპყრობილი. ანსამბლი „ფაზისი" საყოველთაოდ აღიარებულია და მისი ხსენება ჩვენი თანაქალაქელებისათვის განსაკუთრებული სითბოს, სიყვარულისა და პატივისცემის მომგვრელია. ბ-ნი ეროდი ანსამბლ ფაზისთან ერთად, როგორც ქართული კულტურის დესპანი იმყოფებოდა: მოსკოვის (2-ჯერ), უნგრეთის, იუგოსლავიის, კვიპროსის, გერმანიის (3-ჯერ), სლოვენიის, იტალიის, თურქეთის რესპუბლიკებში, სადაც ანსამბლის გამოსვლებს დიდი წარმატება ხვდა წილად და საიდანაც ლაურეატობის სიგელებით, დიპლომებით, მედლებით, ფასიანი საჩუქრებით ხელდამშვენებული ბრუნდებოდნენ სამშობლოში.

1982 წელს ბ-ნმა ეროდიმ კულტურის სახლთან აღადგინა სხვადასხვა წლებში არსებული თოჯინების თეატრი, რომელსაც რამოდენიმე წელი მერი ტუღუში ხელმძღვანელობდა, ხოლო 1984 წლიდან თავად ეროდი ტიკარაძე ჩაუდგა სათავეში თეატრს. მისი ხელმძღვანელობით, რეჟისორობით, საკუთარი პიესებითა და მუსიკალური გაფორმებით, თეატრმა ყველა ხალხური შემოქმედების სამეცნიერო-მეთოდური ცენტრის მიერ ჩატარებულ ფესტივალზე მიაღწია უდიდეს წარმატებას და გახდა თბილისის, ბორჯომის, გურჯაანის ორგზის თოჯინების მოყვარულთა თეატრების რესპუბლიკური ფესტივალების გამარჯვებული --(სადაც წარმოდგენილი იყო „ზღაპრის გუდა", „ამბავი ტყეში", „მხიარული კარუსელი" , „წითელქუდა "და სხვა).

1986 წელს ფოთის თოჯინების მოყვარულთა თეატრს სახალხო თეატრის წოდება მიენიჭა.

1986 წელს ბ-ნმა ეროდიმ საქალაქო კულტურის სახლის დირექტორობის დროს გადაწყვიტა შეექმნა ანსამბლ „ფაზისის" შვილობილი სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, რომელსაც „ნორჩი ფაზისელები" უწოდა. მისი ქორეოგრაფი ასევე გახლდათ ბ-ნი ახმედ ამბალია.

1989 წელს ბ-ნი ეროდი კვლავ უბრუნდება ქ.ფოთის სამუსიკო სასაწავლებელს და ქმნის ბიჭუნათა ფოლკლორულ ანსამბლს, რომლის რეპერტუარში შედიოდა საქართველოს ყველა კუთხის სიმღერა (დირექტორი როზა ჩაფიძე).

1993-1995 წლებში ბ-ნ ეროდი ასევე წარმატებით მოღვაწეობს სენაკის სახელმწიფო ანსამბლში ლოტბარად.

1996 წელს ბ-ნმა ეროდიმ ფოლკლორის ცენტრში შექმნა ახალგაზრდული ფოლკლორული ანსამბლი „ფოთი", რომლის ქორეოგრაფი გახლდათ ახალგაზრდა ენთუზიაზმით სავსე ქორეოგრაფი გიგლა თურქია. 1998 წლიდან ანსამბლის ქორეოგრაფი გახლდათ ინოვაციების მაძიებელი ედიშერ ალექსანდრია.

2001წ.- ბიჭუნათა ფოლკლორული ანსამბლ „კოლხი ბიჭების" ჩამოყალიბება

ბ-ნმა ეროდიმ იცის პროფესიული ორიენტაციის ძალა და მნიშვნელობა, ამიტომაც თავგამოდებით მუშაობს უმცროსი ასაკის ბავშვებს შორის. თავიდანვე მსჭვალავს მათ ხალხური სიმღერის ეშხით.

თავისი მრავალწლიანი არსებობის მანძილზე ანსამბლმა უკვე მრავალ კონცერტსა და ფესტივალებში მიიღეს მონაწილეობა და დიპლომებისა და ოქროს მედლებს ახვავებდნენ ფოთურ სახელოვნო ბედებლ.

2010 წელს ასევე სასწავლებელში ქმნის გოგონათა ფოლკლორულ ანსამბლ "მახარია"-ს (დირექტორი ლია ეჯიბია) ანსამბლი დღემდე აქტიურად მოღვაწეობს.

ბ-ნი ეროდი ეს ის შემოქმედია, რომელიც არასოდეს არ კმაყოფილდება მიღწეულით, ეს ის ადამიანია რომელიც, ვითარდება, არ ჩერდება და დღესაც 75 წლის ასაკში ახალგაზრდული შემართებით აგრძელებს მოღვაწეობას.

2015 წელს ეროდი ტიკარაძე ინიშნება საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის, ფოთის რეგიონული წარმომადგენლობის და მასთან არსებული სალოტბარო სკოლის კონსულტანტად (ლოტბარად), სადაც რამოდენიმე თვეში ქმნის 70-ბავშვიან გუნდს.

ბ-ნ ეროდის კალამიც უჭრის... წერს ლექსებს, პიესებს. ბევრჯერ შეუთხზავს ტექსტები ხალხური სიმღერებისათვის.

„სიმღერა სიყვარულის საგალობელია"... ამბობს ბ-ნ ეროდი და უგალობენ ერთმანეთს თითქმის ნახევარი საუკუნეა ბატონი ეროდი და ქალბატონი მაყვალა, რომელთა სიყვარულიც მაგალითია ყველასთვის ვინც ამ ოჯახს იცნობს. სასწავლებელში შემდგარი ნაცნობობა იღბლიანი აღმოჩნდა წყვილისთვის. სიყვარულით შეუღლდნენ, სიმღერამ გააცნო და დაახლოვა ერთმანეთს ეს ორი ხელოვანი. „ბატონი ეროდის ბინა, მისაღებ ოთახში გაშლილი სუფრა, კახური ღვინო, სადღეგრძელოები, ქალბატონი მაყვალას ფუსფუსი და ბიჭებთან ერთად წაღიღინება" - ეს სურათი მრავალჯერ უნახავთ ანსამბლ „ფაზისის" წევრებს, დილამდე უსმენიათ მეზობლებს მრავალხმიანი ქართული სიმღერები. ტრადიციას არ ღალატობდნენ შემდგომში ანსამბლ „ფოთის", მოგვიანებით კი „კოლხი ბიჭების" წევრები, რომელნიც ყოველწლიურად საყვარელი მასწავლებლის ალილოს მახარობლები არიან. ბ-ნი ეროდის სიხარულს საზღვარი არა აქვს როცა ხედავს მისი აღზრდილები სიმღერის სიყვარულმა როგორ დაავაჟკაცა და აქცია ნამდვილ ქართველებად.

ქალბატონი მაყვალა დიდბუნოვნებითა და უშურველობით, ადამიანური სითბოთი გამორჩეული ქალბატონია, ერთი შეხედვით ოდნავ მოკრძალებული. მან ფოთში დაიმკვიდრა თავი როგორც ულამაზესმა, სათნო, საოცრი სითბოთი და სიყვარულით სავსე ხელოვანმა.

ის წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა მე–9 საშუალო სკოლისა და ფოთვაჭრობის ქალთა გუნდს.

ბ-ნი ეროდი და ქ-ნი მაყვალა ორი ქალიშვილის მშობლები არიან. გოგონები ბავშვობიდან ეზიარნენ ქათული ხალხური სიმღერის სიყვარულს. პატარა ირმა და მაიკო ორ ხმაში მღეროდნენ, მალევე გამოჩნდა ტიკარაძეების მუსიკალური ოჯახი ფოთის სცენაზე, რომელნიც წლების მანძილზე ატკბობდნენ ფოთელებს.

ბ-ნი ეროდი დიდი სიყვარულითა და ერთგულებით ემსახურება ხალხური ფოლკლორის-ხალხური სიმღერის შესწავლა-შენახვა-პოპულარიზაცის საქმეს საკუთარ ქალაქსა და ქვეყანაში. მას დიდი წარმატებით გაჰქონდა საქართველოს სახელი და მისი თვითმყოფადობა, ქართული კულტურის ეს მარგალიტი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მრავალი მოწვევისა და საფესტივალო გასტროლების დროს.

წარმოუდგენელია, მაგრამ ფაქტია, როგორ შეძლო ერთმა ადამიანმა მოესწრო ამდენის კეთება, ეს ნამდვილ ხელოვანთ ძალუძთ. იშვიათად იბადებიან ისეთი ხელოვანები, რომელთაც პროფესია საკუთარ შვილებთან აქვთ გაიგივებული. მათ გაფრთხილება და დაფასება სჭირდებათ. და აი, დაფასდა კიდეც:

ეროდი ტიკარაძე არაერთი ჯილდოსა და წოდების მფლობელია: მინიჭებული აქვს I კატეგორიის ლოტბარის წოდება (1988წ); არის ღირსების ორდენის კავალერი (2000წ); ქ. ფოთის კოლორიტის წოდება (2009წ); ქ.ფოთის საპატიო მოქალაქის წოდება (2010წ); სამადლობელი წერილები კულტურის სამინისტროს (2001წ), ხალხური შემოქმედების სამეცნიერო-მეთოდური ცენტრისა (2001; 2006წწ) და საქართველოს პრეზიდენტის (2009წ) მიერ ქვეყნისა და ხალხის წინაშე გაწეული ღვაწლისათვის; საქართველოს დამსახურებული პედაგოგის წოდება (სახელოვნებო განათლების სფეროში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის). აჭარის კულტურისა და ტურიზმის განვითარებისა და ხელშეწყობის საზოგადოების საპატიო წევრი (2016). „ხელოვნების ქურუმის წოდება" ქართული კულტურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის (2016წ)

ვუსურვებთ ბ-ნ ეროდის კვლავაც დიდხანს იდგეს ქართველი ხალხის, ქართული მუსიკალური ფოლკლორის სამსახურში.

ლეილა კაკულიას ხსოვნას

ფოთი და სრულიად საქართველო ემშვიდობება თავის ერთგულ შვილს, რომლის ცხოვრება და მოღვაწეობა უპირველესად ქვეყნის მსახურებასთან იყო თანხვედრი, ამიტომაც პატივს სცემდა ყველა -უანგარობისათვის, უდიდესი კეთილშობილებისთვის, შრომის მოყვარეობისათვის, რითაც ყველგან და ყოველთვის ამტკიცებდა, რომ საქვეყნო საქმის კეთება ყველა დროში შეიძლება.

ლეილა ლავრენტის ასული კაკულია დაიბადა 1938 წლის 4 მარტს, ქალაქ ფოთში მოსამსახურის ოჯახში. 1956 წელს წარჩინებით დაამთავრა ფოთის 2 სასუალო სკოლა და სწავლა გააგრძელა სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგის ფაკულტეტზე. უმაღლესი სასწავლებლის დამთავრებისთანავე აირჩიეს კომკავშირის ფოთის საქალაქო კომიტეტის მდივნად, საიდანაც მალე დააწინაურეს პარტიულ და სამეურნეო ორგანოებში სხვადასხვა თანამდებობებზე. იყო პარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის ინსტრუქტორი, განყოფილების გამგე, საქალაქო საბჭოს აღმასკომის მდივანი. წლების განმავლობაში იყო ქალაქის პარტიულ ორგანიზაციის ერთერთი ლიდერი, ჯერ პარტიის საქალაქო კომიტეტის მდივნის, ხოლო შემდეგ მეორე მდივნის თანამდებობებზე, წლების განმავლობაში არჩეული იყო სხვადასხვა მოწვევის საქალაქო საბჭოს დეპუტატად. 1990 წლიდან, თითქმის 15 წლის განმავლობაში სათავეში ედგა მუნიციპალურ ტელეკომპანია „ფაზისს“.

ქალბატონი ლეილა კაკულია არჩეული იყო ფოთის საპატიო მოქალაქედ, იყო ღირსების ორდერის კავალერი, ფაზისის საერო სამეცნიერო აკადემიის წევრი, საზოგადოება „ფოთი და ფოთელების“ ერთ ერთი დამფუძნებელი.

არაერთი საინტერესო წამოწყება უკავშირდება ლეილა კაკულიას პარტიულ-პოლიტიკურ საქმიანობას. მუდამ ინიციატივიანი, ნიჭით გამორჩეული ყველას აკვირვებდა თავისი შეუვალობით, სამართლიანობით, პირდაპირობით.

ცხოვრება არასოდეს ყოფილა ია-ვარდებით მოფენილი. საზოგადოებრივ-პოლიტიკური მღვაწეობის ყველა ეტაპზე საოცარ წონასწორობას ინარჩუნებდა, მიუხედავად წინააღმდეგობებისა, არც თუ იშვიათად ყოფილა იმედ გაცრუების მომენტი, მაგრამ სულით ძლიერი ქალბატონი ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა თავისი თამამი პოზიციით. მართალია თანამდებობრივად შეზღუდული იყო ეროვნული დამოუკიდებლობის პატრიოტული პოზიციების გამოხატვით, საეკლესიო ღვაწლით, მაგრამ მაინც ახერხებდა დახმარებას, კონტაქტების გაფართოებას სახელმწიფო პოზიციებიდან. ჯანმრთელობის პრობლემებიც შეექმნა, მაგრამ ამასაც სძლია სულით გაუტეხელმა.

მტრობა, შური და გაუტანლობა ყველა დროს წამოწყებული პარტიული კინკლაობა გულსტკენდა თავის სამშობლოზე უსაზღვრო შეყვარებულს. მტკივნეულად განიცდიდა თაობათა შორის გაუგებრობას, ინტერესთა შეუთავსებლობას, თანამდებობის პირთა საქმეების შეუფასებლობას, რაც ზიანს აყენებდა ეროვნულ თანადგომას.

ფოთელებში „ფაზისობის“ დღესასწაული ქალბატონ ლეილასთან ასოცირდება. ასევე მას უკავშირდება ცნობილი დევიზი „ფოთელებს ერთი სიყვარული აქვთ“. სიყვარული, მეგობრობა, ურთიერთგაგება, გაჭირვებულთათვის დახმარება ორგანულად ერწყმოდა მის პიროვნულ ხასიათს.

საქართველოს კულტურულ ფასეულობებს, ტრადიციებს აღიარებდა. წარსულსა და მომავალს შორის ხიდი გადების მიზნით ყველაფერი გააკეთა „ფაზისის“ აკადემიის აღდგენისათვის, რომელსაც წლების განმავლობაში ქართული მეცნიერების კორიფეები ხელმძღვანელობდნენ.

ქალბატონი ლეილა ყოველთვის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრების ეპიცენტრში იყო. ყველა პოლიტიკურ-კულტურული ღონისძიება მისი ხელწერით, მაღალი ინტელექტით, თავისუფლების წყურვილით, ქართული სახელმწიფოს გაძლიერების სურვილით გამოირჩეოდა. უამრავი ჯილდო, ორდენი, მედალი, თუ სიგელი მიუღია, მაგრამ ყველაზე მთავარი მისთვის ფოთის საპატიო მოქალაქეობა იყო. ფოთელთა სიყვარული და აღიარება მას არასოდეს არ აკლდა. მისმა გარდაცვალებამ ერთხელ კიდევ შეგვახსენა, რომ ადამიანები არ ვართ უკვდავები და სიცოცხლეშივე უნდა მოვეფეროთ ერთმანეთს. მარადიულ გზაზე გულის ტკენა კი არა, რწმენა და იმედი უნდა გავატანოთ ერთმანეთს.

დიდი ქალბატონის დანაკლისს მალე გვაგრძნობინებს დრო. ხშირად მოგვაგონდება მისი სიბრძნე, მაღალი აზრით გაჯერებული გამოსვლები, მუდამ სიკეთის, სიყვარულის მთესველი. ასეთი დიდი ადამიანები აკლდებიან ქალაქს და ქვეყანას.

თითქოს თანდათან მიილია ქალთა ის თაობა, რომლებიც ამინდს ქმნიდნენ ქალაქ ფოთში. მათ უსმენდნენ, საზოგადოებრივ-პოლიტიკური წონის, ნიჭისა და პასუხისმგებლობის ანალიზის გამო.

მიდის ჩვენგან ყველა დროის დიდი ქალბატონი, კოლხური სიდიადით. მიდის ვალმოხდილი დედა, მეგობარი, მოქალაქე, ოჯახის, ახლობლების, ქალაქის, ქვეყნის წინაშე და მისი ცხოვრება ერთ ლამაზ ფოლიანტად შემორჩება ფაზის ქალაქს, რომელსაც მომავლის ქალაქს უწოდებდა დიდი სიყვარულით.

ქალბატონი ლეილა მარადისობაში გადავიდა, ღმერთს ებარებოდეს მისი დიდებული სული.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი სათათბირო

ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემია

მწუხარე ქალაქი ეთხოვება დიდ ქალბატონს
ლეილა კაკულია და ტელეკომპანია ფაზისი განუყოფელი იყო

ამ ოციოდ წლის წინ, თქვენს მიერვე შექმნილ და ნაამაგარ ტელეკომპანია ,,ფაზისში'', რომელსაც დიდი ძალისხმევისა და წვალების შემდეგ, საკუთარი ჭერი მიუჩინეთ, ახალგაზრდულ შემოქმედებით ოჯახს, საქმიანი ბაასიის შემდეგ, ცხოვრების პროზისა და მორალის გაკვეთილებს ისე საგულდაგულოდ გვიტარებდით, რამდენიმე წუთით გავიწყდებოდათ სოციალური ხელმოკლეობა რომ მძვინვარებდა ირგვლივ. კოლექტივში რამდენიმე ასაკოვანის გარდა, უმეტესობა ცხოვრებაში ახალფეხშებიჯებულნი ვიყავით. ბევრი იყო ჩვენს შორის სრულიად ახალგაზრდა, გამოუცდელი, მაგრამ ნიჭიერი. თქვენი სუსტი წერტილიც ეგ იყო, მათ მიმართ განსაკუთრებული მზრუნველობით იყავით დაკავშირებული. ოო, როგორი კმაყოფილი იყავით, გონიერი და შემოქმედებით შრომას მოწადინებული ახალგაზრდა რომ შემოაღებდა ჩვენი ტელეოჯახის კარს, დაისვამდით სამუშაო ოთახში, ჯერ კარგად გაესაუბრებოდით, მოქართულეობას მოუსინჯავდით, შემდეგ სტუდიებსა და სამონტაჟოებში შეიყვანდით, სამზარეულოს გააცნობდით და გამომწვევად ჩახედავდით თვალებში...და თუ ვინმე ნიჭსა და უნარს გამოამჟღავნებდა, სახეზე ღიმილი გადაგირბენდათ, ესე იგი, მისგან შესაძლო იყო ტელემუშაკი დამდგარიყო. ის კი, ის ახალმოსული მონუსხული იყო თქვენით, რადგან, იმ მცირედ დროში, აშკარად გრძნობდა, რომ სულ სხვანაირ ადამიანთან ჰქონდა საქმე, იმ ადამიანთან, რომელშიაც ერდროულად იყო ხელმძღვანელის მომთხოვნელობა, განუზომელი პასუხისმგებლობა, ერუდიციის უტყუარი აწონვა და, რაც მთავარია, უდიდესი მორალური კეთილშობილება ყოველდღიურ ყოფით სიტუაციებში გამოხატული. ურთულეს დროსა და ჟამში, თქვენ შეძელით ქალაქ ფოთს ჰქონოდა დასავლეთ საქართველოში ერთ-ერთი გამორჩეული ტელემედია, თავისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზითა და ადამიანური რესურსით, ყველაზე საგულისხმო კი ის არის, რომ ტელეკომპანია ერთ ოჯახად შეიკრა, ყოველგვარი გადაჭარბების მიღმა ვიტყვით: შეიკრა მზრუნველი დედის კალთის ქვეშ. აი, ამ ოჯახმა შეძლო, ქალაქისათვის, და არა მარტო ქალაქისათვის, ათწლიანი ტელემატიანის ვიზუალური დაწერა, ასეულობით შემეცნებითი, გასართობი, საბავშვო, სპორტული, რელიგიური, სოციალური გადაცემების, სიუჟეტების, კინოჩანახატებისა და აქტუალური, მხატვრულად დახვეწილი ვიდეოპროდუქციის შექმნა და აუდიტორიაზე მიწოდება. დიახ, დიახ, ეს, უპირველესად, ლეილა კაკულიას თავდაუზოგავი ზრუნვის ნაყოფი იყო. ტელევიზიაში მოღვაწეობა თქვენი ცხოვრების მეორე ფურცელი იყო, ქალბატონო ლეილა, ქალაქის ხელმძღვანელად საქმიანობა ცალკე საუბრისა და მოგონებების თემაა. ტელევიზიაში მუშაობისას უფრო მკაფიოდ გამოიკვეთა თქვენში არსებული ის ზნეობრივი და ზოგადად ქალური მომხიბვლელობით დამუხტული პოტენციალი, რაც დიდ უპირატესობას განიჭებდათ ადამიანურ ურთიერთობებში, ყოველდღიურ ყოფით პრობლემატიკასთან ჭიდილში. ეს გახლდათ ქალბატონო ლეილა, თქვენი საზოგადოებრივი ხიბლი, რამაც ჩვენთვის და თითქმის, ყველა ფოთელისათვის სასურველ, საჭირო, სასარგებლო, სათნო და, საბოლოო ჯამში, უსაყვარლეს ადამიანად გაქციათ. ახლა, როცა მეტად გვიმძიმს და გვეძნელება თქვენ გაზრდილებს, გამოსათხოვარი სიტყვებისა და ფრაზების მოხმობა, არ შეგვიძლია, ერთი გარემოება თქვენთან გამყარებული, არ აღვნიშნოთ საზოგადოების გასაგონად, რატომ? იმიტომ, რომ ეს ბოლო ბარათია თქვენდამი მოძღვნილი, ცრემლის გარეშე დაწერილი. ასეა ალბათ: ცხოვრების დაუწერელი კანონია თითქოს, უზომო სიკეთისმთესველ და საზოგადოებისგან პირუთვნელად დაფასებულ ადამიანს, გულისტკივილი რამ, რომ არ შეხვდეს, სადღაც, რეალიების რომელიღაც კუნჭულში, გამორიცხულია. ეს გულისტკივილი გერგოთ თქვენც, ჩვენო უძვირფასესო ქალბატონო, ჭრილობა მიაყენეს იმ გულს, რომელიც უფრო მეტად სხვათა სიხარულისა და სრულყოფილების მოსატანად, სხვათა ტკივილების დასაამებლად ფეთქავდა. ზუსტად ცამეტი წლის წინ, როდესაც თქვენგან ესოდენ ნალოლიავები და ნაშენი ტელეკომპანია უღმერთო ცოდვისშვილებმა ცეცხლს მისცეს, ყველა ფიქრობდა, რომ ლეილა კაკულია არ შეეპუებოდა ბოროტებას, არ გატყდებოდა, ოთარაანთ ქვრივივით რკინის ქალამნებს მოირგებდა და ფერფლიდან აღადგენდა გადაბუგულ ,,ფაზისს'', ფოთელ ტელემუშაკებს კერას არ მოუსპობდა და არსობის სარჩოს გარეშე არ დატოვებდა, ასეც იქნებოდა, რომ არა იმხანად პოლიტიკურ საქართველოს შეყრილი ნაციონალური სახადი და იმჟამინდელი ადგილობრივი მმართველობის აბსოლუტური იგნორი და გულგრილობა, ერთმა ნაციონალმა რეგვენმა ისიც იკადრა და თქვა- ,,რაღა დროს ლეილა კაკულიას ტელევიზიააო''. აი, ამგვარმა სიმუხთლემ, დანაშაულებრივმა სიბრიყვემ საბოლოოდ გაბზარა თქვენი უსაშველოდ თბილი გული. ხელიდან კი გამოგაცალეს ნაამაგარი მედიასახლი, მაგრამ დანატოვარ სახელსა და ნამუშაკარს, ვერა დააკლეს რა. გაგტეხეს, მაგრამ ვერ დაგამარცხეს, თუმცაღა, ღვთიური სიკეთის დამარცხება სად გაგონილა? დაუმარცხებელი მიბრძანდები ზეციურ საუფლოში ჩვენო გზისგამკვალავო, მოამაგევ და მიმთითებელო, უზომოდ ძვირფასო, დედასავით სათუთო ქალბატონო! აქ კი, ის აუწონავი ღვაწლი დაგრჩება, რომელიც ჩაუქრობელ კელაპტრად ენთება ჩვენში და, რომელსაც სამარადისოდ ლეილა კაკულია ერქმევა!

ტელეკომპანია ,,ფაზისის''
თანამშრომლები.

ლეილა კაკულიას მონატრება

უკანასკნელ გზაზე

„ფოთი მორბის შენკენ ხელებგამოწვდილი, შენი ნახვის მოიმედე“, წერ საკუთარ ლექსში, რომელიც ქართველ ებრაელებს მიუძღვენი. ეს სიტყვები უკანასკნელ გზაზე შენს გაცილებასაც მიესადაგება, რადგან შენი თანაქალაქელები ყვავილებით ხელებგამოწვდილი-ცრემლების თავსხმაში მიგაცილებდნენ უკანასკნელ გზაზე, შენ ხომ ასეძალიან გიყვარდა სიცოცხლე და ყვავილები, ყველა ფოთელი საკუთარ ძმასავით და შვილივით მიგაჩნდა, აკი ამბობდი: „ ფოთელებს ერთი სიყვარული აქვთო“. უსამანო კეთილშობილებას და სიყვარულს იტევდა ეს პატარა გული, რომელიც ფოთელებს და სრულიად საქართველოს მიუძღვენი. მათი წარმატებით ხარობდი, მათი ტკივილი შენც გტკიოდა.

გუშინდელივით მახსოვს როგორ შემოვიდა შენს კაბინეტში ერთი თვალცრემლიანი მამაკაცი (იმ დღეს რატომღაც მომენატრე და მოგინახულე, ჩვენ ხომ ერთ საბავშო ბაღში დავდიოდით, ერთ სკოლაში ვსწავლობდით და ერთ მერხზე ვისხედით, აფხაზეთშიც ერთ უმაღლეს სასწავლებელში ვსწავლობდით, ერთად ვიყოფდით ლხინსა და სტუდენტურ მშფოთვარე დღეებსაც. ერთად ვუსმენდით სოხუმში მოწვეულ გალაკტიონ ტაბიძეს, იოსებ გრიშაშვილს, ირაკლი და გრიგოლ აბაშიძეებს, შალვა დადიანს, გოგლა ლეონიძეს თუ შალვა ნუცუბიძეს და კიდევ ბევრ, ძალიან ბევრ ქართველ თვალსაჩინო მოღვაწეს).

სახლი დამეწვა, ქალბატონო ლეილა, ამბობდა თვალცრემლიანი მამაკაცი, მეუღლით და ხუთი შვილით ქუჩაში დავრჩით ღვთის ანაბარა, თუ შეგიძლია რამე დამეხმარეო. შენ მაშინ ფოთის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივნად მუშაობდი. თქმა არ ჰქონდა დასრულებული, ცრემლები ღაპაღუპით წაგსკდა, უცებ ყურმილი აიღე და საკუთარ ოჯახში დარეკე. ყურმილი შენმა დედასავით ტკბილმა და სათნო დედამთილმა ქალბატონმა - გული მაშავამ აიღო „დედა, შენთან ახლა გასაჭირში მყოფი პიროვნება მოვა, რასაც მოახერხებ ყოველგვარი საოჯახო ნივთები გაატანე, ფული თუ დაგრჩა, ისიც მიეცი, ხვალ ხელფასი იქნება არ შეგეშინდეს, მშიერი არ დავრჩებით“ მეხსიერებიდან ახლაც არ ამომდის იმ პიროვნების მადლიერებით სავსე ატირებული თვალები, როგორ მოგეხვია იგი და როგორი იმედებით მიაცილე კაბინეტის კარამდე. ეს არ იყო შენთვის პირველი და უკანასკნელი შემთხვევა, რამდენი შეჭირვებულისთვის გაგიწვდენია დახმარების ხელი, რამდენი ახალგაზრდა დაგიყენებია სწორ გზაზე, რამდენი ობოლი და შეჭირვებული გაზრდილა შენს საოცრად ჰუმანურ ოჯახში. გიჟი დედა, თავგადაკლული ბებია, ნათესავების მოყვასი, ერთგული მეგობარი, გულგაშლილი და სტუმართმიყვარე დიასახლისი, ყველა ფოთელის მომფერებელი და დამფასებელი - ასე გიცნობდნენ, ასეთი დარჩი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე.

ღირსეულ პატივს მიაგებდი ფოთში ჩამოსულ მწერლებს, პოეტებს, მხატვრებს კომპოზიტორებს, საგასტროლოდ ჩამოსულ მსახიობებს, თუ სხვადასხვა ანსამბლის სოლისტებს. მწუხარების ჟამს აღტაცება ვერ დავმალე, როდესაც ანსამბლ „ ივერიის“ მომღერალი ვახტანგ ტატიშვილი შენს ცხედართან ჩავლილი დავინახე. თქვენც ბატონო ვახტანგ?! -უნებურად წამომცდა. ხელები მაგრად ჩამჭიდა, წუთით შენს ცხედართან შეჩერდა და ცრემლები წასკდა. ამდენი მწუხარე სახე და ამდენი ცრემლიანი თვალები ფოთში არასოდეს მინახავს. ეს, ალბათ, იმ დიდი სიყვარულის გამოხატულებაა, რომელიც ფოთელებისგან სიცოცხლეშივე ჯილდოდ გერგო.

უსაზღვროდ გიყვარდა პოეზია, ზეპირად იცოდი გამოჩენილი პოეტების ლექსები, თანამედროვეთაგან შოთა ნიშნიანიძე გიყვარდა ძალიან: „ აღარ მაძინებდა მზერა ალმაცერი, ხალიანი ტუჩი, მკლავი ანაცერი..... მივდიოდი მხოლოდ და შენს აცრილ მკლავებს თითებს დავაწყობდი როგორც სალამურზე,“ ხშირად იმეორებდი ლექსის ამ სტრიქონებს, თავადაც წერდი, მაგრამ მოკრძალებული იყავი და არ აქვეყნებდი, შენი ლექსი, რომელიც დაიწერა ქართველ ებრაელებზე, რომლის მუსიკა ეკუთვნის ფოთელების საყვარელ კომპოზიტორს ლეილა ლოლუას - შესანიშნავად შეასრულა მომღერალმა ნანი გუგუშვილმა ანსამბლ „ფაზისთან“ ერთად, რომელიც არასოდეს არ ამოვა, არა მარტო ფოთელ, არამედ ქართველი ებრაელების მეხსიერებიდან.

ჯილდოების ზღვაში ცურავდი, მაგრამ ყველაზე დიდი ჯილდო შენთვის ფოთელების სიყვარული იყო. როცა ღირსების ორდერით დაგაჯილდოვეს ლექსი მოგიძღვენი გახარებულმა ხუმრობით მითხარი: „ როცა მოკვდები ეს ლექსი საფლავზე უნდა წამიკითხოვო“ შენ ასი წელი არ მოკვდები, ისეთი გენეტიკური კოდიდან მოდიხარ მეთქი, სიცილით ვუთხარი. თხოვნა ვერ შეგისრულე, რადგან ცრემლები მახრჩობდა, გთხოვ, მაპატიო, ახლა გაზეთის ფურცლებს ვანდობ ჩემს უდიდეს გულისტკივილს:

„ლაშარის ჯვარი“ ვერ
დააკავებსო ქალს, -ამბობობენ თუ
კი გაგულისდა,
ეს გული ნაკუწ-ნაკუწ უწილადე
სხვას, ქალმა ზღვა გულისამ,
ტიმ სევერინსაც შეშურდა შენი,
როს ჩამოაცურა არგო,
ფოთელებს ერთი სიყვარული
აქვთო შენგან გაუგიათ კარგო.

თავად ჩითის კაბით გაგივლია,
სხვებისთვის ჩაგიცვამს ფარჩა,
სიკეთის მანტია ყველასთვის
შეგიკერავს, შენთვის მტკაველიც
არ დაგრჩა,
ჯილდო კი-მღელვარე გულის
კაკუნია, ათასი ფიქრი და გარჯა,
სხვა ჯილდო არ უნდა ლეილა
კაკულიას ფოთელთა
სიყვარულის გარდა.”

ცრემლების თავსხმაში დატოვე ფოთი, ფოთელების სიყვარული მიგაცილებდა საფლავის ბოლომდე, დე, ამ სიყვარულმა გაგინათოს გზა მარადიულ სასუფეველში ჩემო სიყრმის მეგობარო! უფალს ებარებოდე ამინ !

ლუიზა ჩხეტია

პოეზიის საღამო სასამართლო დარბაზში „კარგია პოეტის გული, სიმღერად გადაქცეული,თუ უსმენს ახალგაზრდობა“ /რევაზ მარგიანი/

ოქტომბრის მშვიდი სადამო იდგა, შემოდგომის ნინველა მზის სხივები ტანში საამურად ატანდა, ნელი სიო ათრთოლებდა დაფნისა და ნეკერჩხლის ფოთლებს და აქეთ-იქით ფანტავდა ცაზე თეთრად გადაპენტილ ღრუბლების ფთილას.

იმ დღეს რევაზ მარგიანის ლექსების კრებულს ვფურცლავდი, რატომღაც დიდებული სვანი პოეტის „მირანგულას“ ავტორის სიტყვები მომაგონდა: „ კარგია პოეტის გული, სიმღერად გადაქცეული, თუ უსმენს ახალგაზრდობა“ ამ სტროფების წაკითხვაც არ მქონდა დამთავრებული, რომ ჩემს ტელეფონში გაბმული ზარი გაისმა: ქალბატონო ლუიზა! სასამართლოდან გირეკავთ ნანა შამათავა, 5-ოქტომბერს უნდა მობრძანდეთ ფოთის საქალაქო სასამართლოში, თქვენი ახალი კრებულის განხილვა და თქვენი შემოქმედების გაცნობა გვსურს არ დაიზაროთ გელოდებით. უარი არ მითქვამს, მაგრამ ორ წუთში უცნაურმა ფიქრებმა შემიპყრო, ნანას ტელეფონის ნომერი ავკრიფე და გაკვირვებული ვეკითხები: კი, მაგრამ როდის იყო სასამართლოში პოეზიის საღამო ტარდებოდა, თუ რაიმე დანაშაული მიმიძღვის მე ან ჩემს შვილებს ახლავე მითხარით, სასამართლო პროცესს ნორმალურად, რომ შევხვდე მეთქი. ქალბატონო თქვენი დაპატიმრება, რომ გვდომოდა (რაც ჩვენ ფუნქციებში არ შედის) სხვა ფორმით მოვიდოდით, სანერვიულო არაფერი გაქვთ, თქვენი ლექსების კრებული მოგვეწონა და ძალიან გვინდა გავეცნოთ თქვენს შემოქმედებას. ცოტა დავმშვიდდი.

მოვიდა ჩემთვის ცოტა გაურკვეველი და შიშნარევი დღეც, სასამართლო დარბაზში მორიდებით შევედი, შიშმა უცებ გამიარა, როცა დარბაზში ახალგაზრდა იურისტების სიყვარულით გაცისკროვნებულმა თვალებმა შემომანათა. სიტყვა იუმორში გადავიტანე, დარბაზს თამამად მივესალმე და ასე დავიწყე, მეგონა მაპატიმრებდით და საბრალდებო სკამზე მომიწევდა დაჯდომა, სანამ სიმართლეს გაარკვევდით მეთქი“ დარბაზი ახარხარდა, ბევრი იცინა, საქალაქო სასამართლოს თავჯდომარემ თეიმურაზ სიხარულიძემ და პირზე დიმილმორეულმა განაცხადა: რატომ გგონიათ ქალბატონო ლუიზა რომ სასამართლო მარტო დამსჯელი ორგანოა, ჩვენც ვიცით ლიტერატურისა და კარგი პოეზიის ფასი. ძალიან გთხოვთ მოგვიყვეთ თქვენიშემოქმედების შესახებ: როდის დაიწყეთ ლექსების წერა, რაზე წერთ, რა გაღელვებთ ყველაზე მეტად, დღისით უფრო წერთ თუ ღამით? - არ ცხრებოდა შეკითხვები, ჩემს პასუხებს სულგანაბული უსმენდნენ ფოთის საქალაქო სასამართლოს თავჯმდომარე ბატონი თეიმურაზ სიხარულიძე, სასამართლოს მოსამართლე ფოთში ყველასათვის კარგად ცნობილი პიროვნების დემურ ბერაიას ქალიშვილი - თეა ბერაია. „ კვიცი გვარზე ხტისო“ - ნათქვამია. მეამაყება რომ მან შექმნა ქართული ოჯახი, არის ერუდირებული, მიუკერძოებელი და ღირსეულად აგრძელებს მამის - სიკეთით გაკვალულ მამულიშვილურ გზას.

როდესაც ამდენი ახალგაზრდა თვალი სითბოთი და სიყვარულით შემოგგცქერის ამაზე დიდი ბედნიერება არამგონია სხვა რამ იყოს. მადლობით მინდა მოვიხსენიო ახალგაზრდა იურისტები - სასამართლოს თანამშრომლები: ნანა შამათავა, თამარ თოდუა, ეკატერინე ბაბილუა, ელზა წურწუმია, ალექსანდერე ჩაჩიბაია, ზვიად კარტოზია, თამარ მგალობლიშვილი, ელენე ურიდია, მაია ჩოჩია, რამინ მიქაუტაძე, კობა კემულარია, ლაშა ბუცხრიკიძე, აბელ ჩაგუნავა, გოჩა ჭანტურია, გიორგი ჭითანავა, სტაჟიორი მარიკა დარჯანია, ფოთის საქალაქო სასამართლოს მაგისტრატი, სასამართლოს ხობის მუნიციპალიტეტის თანამშრომლები - აკაკი ფაჩულია, ნუნუ ძველაია.

ჩემთან ერთად „პოეზიის საბრალდებო სკამზე“ იჯდა მე-5 საჯარო სკოლის მოსწავლე, შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული - მარიამ ზამთარაძე, ძველი და ახალი თაობის წარმომადგენლები საკუთარი ლექსების თქმაში ერთმანეთს ვცვლიდით:

„არ შეცდე, კისერზე ჯაჭვი
არ მოიბა,არ ენდო ეშმაკს
და არ მოკლა სიცოცხლე,
ისედაც ცოდვილი სული
არ დაიბა,ტაძარით იცოცხლე
და ღმერთით იცოცხლე“

ამბობს მარიამი თავის ერთერთ ლექსში, რადგან იცის: „ღმერთამდე მთებია - მთელი გზა სავალი, ეცადეთ ნაკლები საგზალი ატაროთ, რად გინდათ სამოსი სიკეთე ჩაიცვით“ საღამო ნამდვილ სიყვარულის ფეიერვერკად იქცა. იგი ხელოვანმა მხატვარმა ქეთინო ჩეჩელაშვილმა დაამშვენა, რომელმაც თავისი ჩვეული იუმორით ბევრი გვაცინა, სასამართლოს თანამშრომლებმა მას თავისი ფერწერული ნამუშევრების გამოფენა შესთავაზეს. „ნიჭი ძამია ნიჭი, გალაქტიონმა ბრძანა“ - გაისმოდა დარბაზში ნიჭის დამფასებლებისა და მომფერებლების ხმა. ამდენი სითბო და სიყვარული პოეზიის ასეთი თაყვანისმცემლები და ისიც სასამართლო დარბაზში სიმართლე გითხრათ არსად მინახავს და არც არსად მომისმენია, იმ დღეს სუფრაც გაგვიშალეს სუვენირებითაც დაგვასაჩუქრეს და ლალისფერი ღვინით ლამაზი სადღეგრძელოებითაც დაგვლოცეს გმადლობთ ჩემო საყვარელო ხალხო დაფასებისა და სიყვარულისათვის. ამ ლამაზ დღეს ალბათ დიდი პოეტებიც ინატრებდნენ,როგორ ნატრობდა პოეტი რევაზ მარგიანი მოსწრებოდა იმ მამლის ყივილის გაგონებას რომელიც ამცნობდა 21-ე საუკუნის დადგომას. მაშინ გასული საუკუნის 30-იანი წლები იდგა, ჩვენ დაბადებულებიც არ ვიყავით, ყველაფერი უფლის ნებით ხდება, ჩემი ლექსიც ალბათ იმ „მამლის ყივილის“ უჩვეულო გამოძახილია, რასაც პოეტი სიცოცხლეში ნატრობდა და ვერ მოესწრო:

გათენდა მამლის ყივილი მესმის,
დილის რიჟრაჟი მიყვარს ძალიან,
იღვიძებს ჩემში მუზა და ლექსი,
ეს ხომ სიცოცხლის ქარიშხალია.
ღმერთონუ მოშლი კვირტების
ფეთქვას,
ბუნებას ჰქონდეს შნო და ღიმილი,
პოეტებს დილით ლექსები ეთქვათ,
დე აღვიძებდეთ მამლის ყივილი.“

„სანამ ვარსკვლავები შეგვიწუხდებიან, მივხვდეთ ჩვენითაც, რომ უკვე დილა მოდის“ - ამბობს მარიამ ზამთარაძე ერთერთ ლექსში. იმედის დილა არ მოშლოდეს ჩემს ქვეყანას, პოეტებს დილით ადრე მამლის ყივილზე აფრენილი მუზა და ლექსის წერის სურვილი. კიდევ მრავალი პოეზიის სურნელითა და სიყვარულით გამთბარი დღეები ვაჩუქოთ ერთმანეთს ჩემო ნიჭიერო ქართველო ახალგაზრდობავ! მაშინ ვერავინ მოგვერევა, მშვიდობა და სიყვარული არ მოგშლოდეთ თქვენ და სრულიად საქართველოს!

უფალი გფარავდეთ ამინ!

ლუიზა ჩხეტია
მე-5 საჯარო სკოლის პედაგოგი
ფოთის საპატიო მოქალაქე.

გულს გაუმარჯოს იმედით სავსეს

(მარიამ ზამთარაძეს)

მე ძლიერ მინდა რომ უმღერიდე,
ჩემი სამშობლოს ლამაზ
მთაგორებს,
გრანელის სევდით არ მინდა გნახო,
მიდი დარდები გადააგორე.

მომაგლის სათქმელს ნუ
გადაწერავ,
ბევლი ნაღვლი ქვას მიალესე,
იმედის თვალით დედა და მამულს,
სათქმელი თმილად მიუალერსე.

ღმერთმა გაშოროს გრანელის
ხვედრი,
ნიჭმა შენს ახლოს თავი დახარა,
შენგან ის მედი გრანელს რომ ერგო,
შორს ყოფილიყოს, როგორც საჰარა.

ზოგი წინაპარს უწოდებს გრანელს,
მის შვილიშვილად თავს თვლის
მრავალი,
დღეს სულარ მიკვირს უკმაყოფილო,
შენც ხარ გრანელის შთამომავალი.

მაგრამ იცოდე ყიმედომით,
ჯერ არავის არ გაუხარია,
დე, ნიჭი იყოს შენი მეგზური,
შორს შენგან სევდა ჩემო მარიამ!

დე, გაუმარჯოს იმ შენს ნიჭს
ძლიერს,
მოუსვენრომას და ღამის თევას,
გულს გაუმარჯოს იმედით სავსეს,
და სიყვარულით დაწერულმცოვანს.

ლუიზა ჩხეტია
მე-5 საჯარო სკოლის პედაგოგი
ფოთის საპატიო მოქალაქე.

სპორტი სპორტის სპორტის სპორტი სპორტის სპორტი

ფოტო-კონკურსი

თემაზე ,,ახალგაზრდობა''.

მიმდინარე წლის 15 ნოემბერს ქ. ფოთის საგამოფენო დარბაზში ქალაქ ფოთი მუნიციპალიტეტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ინიციატივით ჩატარდა ,,ფოტო-კონკურსი'' თემაზე ,,ახალგაზრდობა''.

კონკურსის ფარგლებში მონაწილეებს უნდა წარმოედგინათ ფოტოები, რომელთა მთავარი იდეა ახალგაზრდობა იქნებოდა. შემოსული ფოტოებიდან შეირჩა 19 საუკეთესო, რომელიც გამოიფინა ქ.ფოთის საგამოფენო დარბაზში. კომპეტენტურმა ჟიურიმ შეარჩია 3 საუკეთესო ნამუშევარი.

I ადგილი დაიკავა გენო ხავთასის ფოტომ, II ადგილი - გიორგი მეფარიშვილის ფოტომ, ხოლო III ადგილი - თამარ ტუღუშის ფოტომ.

გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ დიპლომებითა და ფასიანი საჩუქრებით.

ბორჯღალოსნებმა კუნძულელი მეტოქე გულადი სამოა ანგარიშით 20:16 დაამარცხა

დასრულდა შეხვედრა საქართველოს მორაგბეთა ნაკრებსა და სამოას შორის.

ბორჯღალოსნებმა სამოას ანგარიშით 20:16 სძლიეს.

ანგარიში მე-9 წუთზე საქართველომ გახსნა. მსჯამა ბორჯღალოსანთა სასარგებლოდ ტექნიკური ლელო ჩათვალა. მერაბ კვირიკაშვილმა კი, გარდასახვა ზუსტად შეასრულა.

სამოელებმა ანგარიშის შემცირება მე-12 წუთზე ჯარიმით შეძლეს. 21-ე წუთზე კი, საქართველოს ნაკრები დაალელოვეს, გარდასახვა ზუსტად შეასრულეს და წინ გავიდნენ.

თუმცა, 30-ე წუთზე, ბექა ბიწაძემ ლელო დადო, მერაბ კვირიკაშვილმა ზუსტად გარდასახა და ბორჯღალოსნები კვლავ დაწინაურდნენ.

39-ე წუთზე კი, პირველი ტაიმის საბოლოო ანგარიში მერაბ კვირიკაშვილმა დააფიქსირა, რომელმაც ჯარიმა ზუსტად შეასრულა.

50-ე და 55-ე წუთებზე სამოელებმა ორი ჯარიმა გაიტანეს და ანგარიში ერთ ქულამდე შემაცირეს, თუმცა 59-ე წუთზე მერაბ კვირიკაშვილმა ჯარიმა გაიტანა ანგარიში 20:16 გახადა და საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

შვილი ნოდარიკო ნიკოლაიშვილი, მამა ნოდარი ნიკოლაიშვილი, ძმა ალექსანდრე ნიკოლაიშვილი, ძმისშვილი დემეტრე ნიკოლაიშვილი და ახლო ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ირაკლი ნოდარის ძე ნიკოლაიშვილი

უახლოესი მეგობრები გერონტი კუხალეიშვილი, ნუგზარ ნადარაია, ირა ფაცია, გია დარჯანია, ვახტანგ ხორავა, ბექან ჯალაღანია, დავით პაჭკორია, ნაპო თოდუა, გოგი გუდავაძე, ჯემალ გურგენაძე, ვასილ თოდუა, კორნელი სართანია, ვაგნერ მხეიძე, ჯემალ მიგინეიშვილი, ზურაბ აბრალავა, ვანო ნარმანია, ბორის ლოლუა, იგორ ღურჯია თანაუგრძნობენ ნოდარ ნიკოლაიშვილს შვილის

ირაკლი ნიკოლაიშვილის

გარდაცვალების გამო

მედიკო და ვანო ნარმანიები ოჯახით თანაუგრძნობენ ნოდარ ნიკოლაიშვილს შვილის

ირაკლი ნიკოლაიშვილის

გარდაცვალების გამო

განცხადება:

იყიდება მაღალი, აგური, 4 ოთახიანი ბელეტაჟი სახლი ლანჩხუთის ცენტრში, მიშენებით. მინის ნაკვეთი 1300მ².
მის: მეგობრობის 16

ტელ: 593 15 90 88

იყიდება მინის ნაკვეთი მალთაყვა-გრიგოლეთის ტერიტორიაზე 600-800მ². ხელმისაწვდომ ფასად.
ზღვის სანაპიროდან 100მ-ით დაშორებით

ტელ: 593 15 90 88

ძველი ტიბეტური რეცეპტი, ორგანიზმის გაახალგაზრდავებისთვის

1971 წელს იუნესკოს თანამშრომლებმა, ტიბეტში ჩატარებული არქეოლოგიური კვლევის დროს, უძველესი მონასტრის ნანგრევებზე აღმოაჩინეს ორგანიზმის გამაახალგაზრდავებელი უნიკალური მეთოდი.

რეცეპტი ძალიან მარტივია: 350 გრ ნიორი გაარჩიეთ, წვრილად დაჭერით და გაქენით ხის (ან დანაყეთ ფაიფურის ქვასანაყში) კოვზით. ნივრის სუფთა წონა 200 გრ უნდა დარჩეს.

გადაიტანეთ მინის (ან თიხის) ჭურჭელში, დაასხით 200 გრ სპირტი და მჭიდროდ დაახურეთ.

ნივრისა და სპირტის ნაყენი გააჩერეთ 10 დღე ბნელ და გრილ ადგილას, შემდეგ გადაწურეთ რამდენიმე ფენა დოლბანდში, ხელითაც კარგად გამოწურეთ ნიორი და კიდევ დააყენეთ 2-3 დღით.

ნაყენი უნდა მიიღოთ 50 გრ ცივ რძესთან ერთად დღეში 3-ჯერ, ჭამამდე 20 წუთით ადრე წვეთებით.

იხელმძღვანელეთ სქემით:

1-ლი დღე: საუზმე – 1 წვეთი; სადილი – 2 წვეთი; ვახშამი – 3 წვეთი.
მე-2 დღე: საუზმე – 4 წვეთი; სადილი – 5 წვეთი; ვახშამი – 6 წვეთი.
მე-3 დღე: საუზმე – 7 წვეთი; სადილი – 8 წვეთი; ვახშამი – 9 წვეთი.
მე-4 დღე: საუზმე – 10 წვეთი; სადილი – 11 წვეთი; ვახშამი – 12 წვეთი.
მე-5 დღე: საუზმე – 13 წვეთი; სადილი – 14 წვეთი; ვახშამი – 15 წვეთი.
მე-6 დღე: საუზმე – 15 წვეთი; სადილი – 14 წვეთი; ვახშამი – 13 წვეთი.
მე-7 დღე: საუზმე – 12 წვეთი; სადილი – 11 წვეთი; ვახშამი – 10 წვეთი.
მე-8 დღე: საუზმე – 9 წვეთი; სადილი – 8 წვეთი; ვახშამი – 7 წვეთი.
მე-9 დღე: საუზმე – 6 წვეთი; სადილი – 5 წვეთი; ვახშამი – 4 წვეთი.
მე-10 დღე: საუზმე – 3 წვეთი; სადილი – 2 წვეთი; ვახშამი – 1 წვეთი.

მე-11 დღიდან მიიღეთ 25-25 წვეთი რძესთან ერთად დღეში 3-ჯერ, ჭამამდე 20 წუთით ადრე. აგრძელებთ იქამდე, სანამ ნაყენი მთლიანად არ ამოიწურება. კურსის განმეორება შეგიძლიათ მხოლოდ მხოლოდ 6 წლის შემდეგ.

ნივრის ნაყენი წმენდს ორგანიზმს ცხიმებისგან, წიდებისგან, აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლას, სისხლძარღვებს ხდის ელასტიკურს, დაგიცავთ ინფარქტისგან, სტენოკარდიისგან, სკლეროზისგან, დამბლისა და სიმსივნური წარმონაქმნებისგან; აუმჯობესებს მხედველობას.

მაგრამ თუ ამ ნაყენის მიღების პერიოდში თავი შეუძლოდ იგრძენით, სასწრაფოდ შეწყვიტეთ მისი მიღება!

რეკომენდაცია: ქრონიკული დაავადებების შემთხვევაში, კურსის დაწყებამდე გაიარეთ ექიმის კონსულტაცია!

რედაქციის მისამართი: ქ.ფოთი, თამარ მეფის №52 , საკონტაქტო ტელ: (0493) 22-25-13 გაზეთი იბეჭდება ქალაქ ფოთში შ.პ.ს. ,,ირიდაში''

E-mail: k.khobalia@gmail.com

რედაქტორი ზ. აბრალავა